

კლასოვან-პიროვანი უღვლილების სისტემის რეკონსტრუქციის საკითხისათვის უდიურ ენაში

უდიური ენის პიროვანი შეთანხმების სისტემა პრინციპულად განსხვავდება არა მხოლოდ იმ იბერიულ-კავკასიურ ენათაგან, რომლებშიც ზმნა იცვლება პირის მიხედვით, არამედ შესწავლილი ენების ანალოგიურ სისტემათაგან. როგორც უკანასკნელ პერიოდში ნაჩვენებია იყო სამეცნიერო ლიტერატურაში [იხ.: ჰარისი 2002], უდიურში პირის ნიშნებად ე.წ. *ენდოკლიტიკები* გვევლინება, ანუ ისეთი კლიტიკები, რომლებიც ხშირად ერთიანი სიტყვაფორმის, ანდა მონომორფემული ზმნური (მარტივი ზმნების) ფუძის შიგნით გვხვდება.

უდიურ ენაში პირის ფორმანტა ენდოკლიტიკებად ჩამოყალიბების ასახსნელად გამოითქვა რამდენიმე ჰიპოთეზა. ამის მიუხედავად, სამეცნიერო ლიტერატურაში არ იყო განხილული კლასოვან-პიროვანი უღვლილების არსებობის შესაძლებლობა. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს: უდიურ ენაში მარტივი ზმნების უმრავლესობას ფუძეში შეიძლება გამოეყოს გრამატიკული კლას-კატეგორიის გაქცევაზე ფორმანტი (ბ-, ბა-, ბე-, ბი-, ბო-, ბოჲ-, ბუ-, ბუჲ-, დ-, დუ-, უ- [**ვუ-*], უჲ- [**ვუჲ-*]...), რომლის შემდეგაც ფიქსირდება პირის ნიშანთა ინფიქსური პოზიცია. წარმოდგენილი კლასოვანი პრეფიქსები ზმნის ძირთან სინქრონულ დონეზე ერთ მორფემას წარმოადგენს, თუმცა მათი გამოყოფა თვისტომი ენების მონაცემთა გამოყენებით ხერხდება. ეჭვი გვეპარება, რომ პირის ნიშნებს კლასოვანი უღვლილების მოშლის და, შესაბამისად, კლასოვანი პრეფიქსისა და ზმნური ძირის (დიაქრონიულ დონეზე – ფუძის) ერთ ფუძედ ჩამოყალიბების შემდეგ დაეკავებინათ ინტრამორფემული პოზიცია.

საყურადღებოა, რომ უდიურში პირის ნიშნებით გამოიხატება მხოლოდ სუბიექტის პირი, მაშინ როდესაც პირდაპირი ობიექტის აღნიშვნა უნდა იყოს პირველადი ყველა იბერიულ-კავკასიური ენისათვის [ჩიქობავა 1979].

ამის ასხნა შესაძლებელია, თუ დავუშვებთ, რომ კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებამდე უდიურმა გაიარა კლასოვან-პიროვანი უღვლილების საფეხური, რომელიც ობიექტის კლასისა და სუბიექტის პირის აღნიშვნას გულისხმობდა (როგორც ეს არის ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში, სადაც

კლასოვან-პიროვანი უღვლილება გვაქვს). გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლის შემდეგ ობიექტური პიროვანი უღვლილება, განსხვავებით ქართველური, ადიღური, და თაბასარანული ენებისაგან, უდიურში, საფიქრებელია, რომ გარშემომყოფ არამონათესავე ენათა გავლენის გამო არ წარმოიქმნა.

ჩვენი აზრით, პირის ნიშნები ყალიბდებოდა არა “ინტრამორფემულ” (კლასოვანი პრეფიქსისა და ზმნის ძირის შორის) პოზიციაზე, არამედ თანდათანობით ხდებოდა მათ მიერ ამ პოზიციის დაკავება. ჩვენი ვარაუდით, თავდაპირველად პირის ნიშანი ენკლიტიკურად ერთვოდა ზმნას, ხოლო მის მიერ ინფიქსური (//ინტერფიქსური) პოზიციის დაკავება და ფოკუსის მარკირება უნდა იყოს გამოწვეული სხვადასხვა სინტაქსური და მორფოლოგიური პროცესებით.

გამომდინარე იქიდან, რომ უდიურ ენაში ზმნური ძირებისა და მეშველი ზმნების უმრავლესობა ცალკეული თანხმონისაგან შედგება, პოზიცია ფუძის ბოლო თანხმონის წინ (რთულ ზმნებში – მეორე ინგრედიენტის წინ) აღქმულ იქნა როგორც პირის ნიშნის ადგილი. ამის შედეგად, ანალოგიით, პირის ნიშნებმა კომპოზიტურ ზმნებში ინტერფიქსური პოზიცია დაიკავეს, ხოლო ისეთ მარტივ ზმნებში, როგორცაა: აკ-ეს “ხედვა”, აყ-ეს “ადება”, “აყვანა”, “ყიდვა”, ეს-უნ “მოსვლა”, ეფ-ეს “შენახვა”... – ინფიქსური პოზიცია, შდრ.: ა=ტუ=კ-სა “ხედავს”, ა=ნე=ყ-სა “იდებს”, “იყვანს”, “ყიდულობს”, ე=ნე=ს-ა “მოდის”, ე=ნე=ფე-სა “ინახავს” (მოყვანილ ლექსემებში არ გამოიყოფა გაქვავებული კლასოვანი პრეფიქსი).

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი მოსაზრება არ ეწინააღმდეგება სხვა რამდენიმე ჰიპოთეზას, მაგ., ა. ჰარისის მიერ გამოთქმულ “პირის ნიშანთა გარშემორტყმის (*trapping*)” ჰიპოთეზას. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია, დავეთანხმოთ გრამატიკული კლას-კატეგორიის ფორმანტთა პოზიციის ჩანაცვლების (ე.წ. მემკვიდრეობითი პოზიციის) ჰიპოთეზას. ჩვენი აზრით, “ენდოკლიზისის” (პირის ნიშანთა მიერ ზმნური ფუძეების გახლეჩის) მოვლენა აიხსნება მხოლოდ კლასისა და პირის ფორმანტთა პარალელური ფუნქციონირებით და არა კლასის აფიქსთა პირის ნიშნებით უბროლო ჩანაცვლებით.

К вопросу реконструкции системы классно-личного спряжения в удийском языке

Система личного согласования в удийском языке принципиально отличается не только от систем тех иберийско-кавказских языков, глагол которых изменяется по лицам, но и от соответствующих систем исследованных языков мира. Как в последнее время показано в научной литературе [см. Харрис 2002], показателями личного согласования в удийском языке являются т.н. *эндоклитики*, т.е., клитики, способные находиться внутри единой словоформы или даже «разрывать» мономорфемную глагольную основу.

Для объяснения причин возникновения в удийском языке личных показателей в качестве эндоклитик было предложено несколько гипотез. Несмотря на это, в специальной литературе не рассматривалось возможное функционирование лично-классного спряжения. На возможность такой реконструкции указывает: большинство непроемных глаголов в удийском языке имеют в своей основе окаменевший показатель грамматического класса (*b-*, *ba-*, *be-*, *bi-*, *bo-*, *boʔ*, *bu-*, *buʔ*, *d-*, *du-*, *u-* [*<*vu-*], *uʔ* [*<*vuʔ*]...), после которого и локализуется инфиксальная позиция личных клитик. Представленные окаменевшие классные префиксы на синхронном уровне составляют одну морфему с корнем глагола, но выделение указанных элементов возможно с помощью привлечения данных родственных языков. Представляется маловероятным, что личные показатели заняли интраморфемную позицию после утраты классного спряжения и, соответственно, слияния классного показателя и корня (исторически – основы) глагола в единую основу.

Обращает на себя внимание, что личные показатели в удийском языке обозначают лишь лицо субъекта, хотя отображение прямого объекта в переходных глаголах необходимо признать первичным для иберийско-кавказских языков в целом [Чикобава 1979]. Для объяснения этого можно предположить, что удийский язык от классного спряжения до личного согласования прошел ступень классно-личного спряжения, которое предусматривало отображение класса объекта и лица субъекта (как во всех иберийско-кавказских языках, имеющих классно-личное спряжение). После утраты категории грамматических классов объектное личное спряжение, в

отличие, например, от картвельских и адыгских языков, в удийском, видимо, из-за внешнего языкового воздействия, не развилось.

По нашему мнению, личные показатели не развивались во «внутриморфемной» (между корнем и классным префиксом) позиции, а происходил процесс их постепенного передвижения на указанную позицию. Мы предполагаем, что первично личный согласовательный показатель примыкал к глаголу энклитически. Изменение позиции личного показателя на инфиксальную (/интерфиксальную) и маркирование фокуса согласовательной клитикой, по нашему мнению, было вызвано различными синтаксическими и морфологическими процессами.

Поскольку большая часть глагольных корней и служебных глаголов в удийском языке имеют моноконсонантную структуру, то позиция перед последней согласной основы (или перед вторым компонентом сложного глагола) стала восприниматься как место для личного показателя в результате чего, по аналогии, личные показатели стали занимать интерфиксальную позицию в производных глаголах и инфиксальную в таких непроданных глаголах, как: *ak-es* «видеть», *aq-es* «братъ», «покупать», *es-un* «идти», «приходить», *ef-es* «хранить», «содержать»..., срв., *a=ɬu=k-sa* «видит», *a=ne=g-sa* «берет», «покупает», *e=ne=s-a* «идет», «приходит», *e=ne=f-esa* «хранит»... (эти глагольные формы не содержат окаменевших классных префиксов).

По нашему мнению, представленное предположение не противоречит некоторым другим гипотезам, напр., гипотезе «окружения личных показателей», высказанной А. Харрис. Вместе с этим, необходимо отметить, что гипотеза «наследовании позиции» у показателей грамматических классов видится нам необоснованной. По нашему мнению, явление «эндоклизиса» (вклинивания согласовательных клитик в глагольную основу) в удийском языке объясняется лишь параллельным функционированием классных и личных показателей, а не простой заменой аффиксов класса на личные согласовательные форманты.